საგამოძიებო ჟურნალისტიკის ჯილდო, საქართველო 2022

ევროპის ფონდი აგრძელებს სამოქალაქო მონიტორინგისა და ადვოკატირების ძალისხმევის მხარდაჭერას, საქართველოში ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და საჭიროებაზე დაფუძნებული საჯარო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობისათვის. ამ მიზნით, ფონდი ახორციელებს ინიციატივას - საგამოძიებო ჟურნალისტიკა ცვლილებებისათვის, რომელიც მიმართულია მედიასა და ადვოკატირების ჯგუფებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობისაკენ ცუდი მმართველობის შემთხვევების გამოსავლენად. ინიციატივის ფარგლებში, ფონდმა საქართველოში საგამოძიებო ჟურნალისტიკის ჯილდო დააწესა. აღნიშნული ჯილდო ეფუძნება გლობალური ჟურნალისტური კონკურსის (Global Shining Light Award) პრინციპებს, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება საგამოძიებო ჟურნალისტიკის გლობალური ქსელის მიერ. კონკურსი მიზნად ისახავს იმ ქართველი გამომძიებელი ჟურნალისტების მხარდაჭერასა და წახალისებას, ვისაც მნიშვნელოვანი საკითხების გასაშუქებლად ხშირად სახიფათო და მტრულ გარემოში უწევთ მუშაობა. კონკურსი გამოავლენს და დააჯილდოვებს იმ ჟურნალისტებს და მედია საშუალებებს, რომლებმაც გამოააშკარავეს სიმართლე და, ამავდროულად, ბიძგი მისცეს ფართო საზოგადოებრივ მობილიზაციას პასუხისმგებელი პირების ანგარიშვალდებულების მოთხოვნით, ან მიაღწიეს სხვა ხელშესახებ ცვლილებას საქართველოს მოქალაქეთა საკეთილდღეოდ.

ამ მიზნით, ევროპის ფონდი იწვევს ჟურნალისტებს და მედია საშუალებებს, ჯილდოზე წარადგინონ მათ მიერ მომზადებული საგამოძიებო სიუჟეტები, რომლებიც **2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში** გამოქვეყნდა.

ევროპის ფონდის შესახებ

ევროპის ფონდის მისიაა, პრაქტიკული პროგრამების განხორციელებით, საშუალება მისცეს მოქალაქეებს წვლილი შეიტანონ სოციალური სამართლიანობის დამკვირდებასა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაში, რათა გაუმჯობესდეს მათი და მათ გარშემომყოფთა ცხოვრება. ფონდის პროგრამები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და აქტივისტებს ისეთი შედეგების მიღწევაში ეხმარება, რომლებიც პასუხობს კონკრეტული თემის საჭიროებებს. ევროპის ფონდი თანამონაწილეობითი მიდგომით მუშაობს. ეს მიდგომა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევს, თავად გამოავლინონ თემისთვის მწვავე საკითხები და პრობლემის გადაჭრის ეფექტური გეგმა დასახონ. ამავდროულად, საზოგადოებაში ხელშესახებ ცვლილებაზე მოთხოვნის გასაჩენად, ფონდი თემებისა და ინტერესთა ჯგუფების მობილიზებას ახდენს იდენტიფიცირებული პრობლემის გარშემო. ფონდი ასევე თვლის, რომ რეალური და მდგრადი დემოკრატიული ცვლილებების დანერგვა შეუძლებელია კონკრეტული პრობლემური საკითხების გარშემო სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების გაერთიანების გარეშე. სწორედ ამ მიზეზით, ევროპის ფონდისთვის პრიორიტეტულია საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის ისეთი პარტნიორობის განვითარება და ხელშეწყობა, რომელიც კონსენსუსის მიღწევას და მონაწილეობით მიდგომებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესს უზრუნველყოფს.

ევროპის ფონდის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხედვას მისი პროგრამებისა და საგრანტო საქმიანობით ახორციელებს და პროცესში შემდეგი მანდატებით ხელმძღვანელობს: სამოქალაქო მონიტორინგი, კორპორატიული და საზოგადოებრივი ფილანტროპია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირება და

საჯარო პოლიტიკის შემუშავება, საზღვრისპირა და თემთაშორისი თანამშრომლობა, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდების ინტეგრაცია, საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა და ღია კარის საგრანტო მექანიზმი.

აღწერა

თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტაბილური დემოკრატიის ჩამოყალიბებაში. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პერიოდი, საქართველოში შეინიშნებოდა კონკრეტული მიღწევები მედია სექტორის გაძლიერებისა და ჟურნალისტების უნარ-ჩვევების გაუმჯობესების კუთხით, ბოლო წლების განმავლობაში ამ მხრივ სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა და თვალსაჩინოა ხელისუფლების მხრიდან მედიის კონტროლის მცდელობები. დღესდღეობით, მედიაგარემო უკიდურესად პოლარიზებულია და ხელისუფლების წარმომადგენლები ფორმალური და არაფორმალური ბერკეტებით ერევიან მედიასაშუალებების მუშაობაში. მაშინაც კი, როდესაც მზადდება საგამოძიებო მასალა სახელმწიფო ინსტიტუტებში კორუფციის, ან საზოგადოებისათვის დამაზიანებელი პოლიტიკისა და პრაქტიკის გამოვლენის კუთხით, ეს მცდელობები არ იწვევს რეალურ ცვლილებებს მოქალაქეებისათვის.

საქართველოში არსებული მყიფე მედიაგარემოს, უკანონო თვალთვალის/მოსმენების სისტემური პრაქტიკის, ასევე იმ სასამართლო განაჩენების გათვალისწინებით, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებს წყაროთა კონფიდენციალურობას, და ჟურნალისტების მიმართ უპრეცედენტო სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობის ფონზე, რასაც ხშირად ახორციელებენ ხელისუბლების წარმომადგენლები, ფონდმა დაინახა საკითხისადმი კომპლექსური მიდგომის საჭიროება. ამის გათვალისწინებით, ფონდი მხარს უჭერს მედიის შესაძლებლობების გაძლიერებას და ახორციელებს ჟურნალისტური გამოძიების და შემდგომი თანამონაწილეობითი ადვოკატირების კამპანიების ხელშეწყობას, საჯარო მოხელეებისა და სამთავრობო უწყებების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისა და დემოკრატიული, სამართლიანი ერის ჩამოყალიბებისათვის.

საგამოძიებო ჟურნალისტიკის მხარდაჭერით ევროპის ფონდი ასრულებს თავის მისიას და მოქალაქეებს სთავაზობს მექანიზმს მთავრობის, ბიზნესისა და სხვა ინსტიტუციების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისთვის.

ვის შეუძლია განაცხადის წარდგენა

განაცხადის წარდგენა შეუძლია საქართველოში მოქმედ ყველა მედიასაშუალებას (ბეჭდური, ონლაინ, რადიო და სატელევიზიო მედია), რომელიც ქართულ, უმცირესობების ან საერთაშორისო ენებზე ამზადებენ ჟურნალისტურ მასალას. კონკურსზე წარსადგენი სიუჟეტები გამოქვეყნებული უნდა იყოს ბეჭდური სახით, ონლაინ, რადიო ან სატელევიზიო ეთერით 2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში.

დასაშვებობის კრიტერიუმები:

ჟურნალისტები, ჟურნალისტთა გუნდი და/ან მედია საშუალებები წარადგენენ დამოუკიდებელ ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელიც:

- ჩატარდა საქართველოში და განიხილავს ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის გამოწვევებს;

- ნათელს ჰფენს ისეთ საკითხს ან საკითხებს, რამაც მძიმე ნეგატიური გავლენა იქონია საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე;
- გამოქვეყნდა 2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში;
- ჰქონდა ფართომასშტაბიანი სამოქალაქო კამპანიის წამოწყების პოტენციალი, გამოვლენილი პრობლემების დაძლევის მიზნით.

გამარჯვებულთა შერჩევის კრიტერიუმები:

ჟიურის წევრები შეარჩევენ დამოუკიდებელ ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელმაც:

- გამოავლინა პრობლემა, რამაც მძიმე ნეგატიური გავლენა იქონია საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე;
- უბიძგა საზოგადოებას ცვლილებების ადვოკატირებისკენ;
- გამოიწვია ხელშესახები შედეგები შესაბამისი პირების პასუხისგებლობის დაყენების კუთხით და გააძლიერა გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება;
- მომზადდა სახიფათო პირობებში ან ძალადობის რისკის ქვეშ.

ჟიური

კონკურსის ჟიური შედგება ადგილობრივი და საერთაშორისო მედია ექსპერტებისგან, სხვადასხვა საერთაშორისო ჯილდოს ლაურიატი ჟურნალისტებისგან, სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისგან.

დაჯილდოება

გამარჯვებულები გამოვლინდებიან არაუგვიანეს **2022 წლის 15 დეკემბრისა.** მთავარი ჯილდო გადაეცემა საგამოძიებო სიუჟეტს, რომელმაც მნიშნელოვანი დადებითი ცვლილება გამოიწვია ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე.

გამარჯვებულებს მიეცემათ შესაძლებლობა, თავად შეარჩიონ მათ პროფესიულ საჭიროებებზე მორგებული პრიზები. პრიზების შესაძლო ვარიანტებია: სასწავლო ტური წამყვან საერთაშორისო ნიუსრუმში ან ინტენსიური კურსი უახლესი მედია ტენდენციების და ხარისხიანი საგამოძიებო სიუჟეტის მომზადების შესასწავლად, კომპიუტერული პროგრამების ან ინვენტარის შეძენა, პროფესიული საწევრო გადასახადები და ა.შ.

გამარჯვებულებს ასევე მიეცემათ შესაძლებლობა, მიიღონ დამატებითი მხარდაჭერა ევროპის ფონდის მხრიდან, ჩაერთონ გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონკურსში, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება საგამოძიებო ჟურნალისტიკის გლობალური ქსელის მიერ.

ევროპის ფონდი იტოვებს უფლებას არ გამოავლინოს გამარჯვებულები, თუ ჟიური მიღებულ განაცხადების ხარისხს არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს.

განაცხადის პროცესი

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა ორშაბათი, **2022 წლის 7 ნოემბერი, 18:00 საათი თბილისის დროით.**

ქართულ ან უმცირესობის ენაზე მომზადებულ მასალებს აპლიკანტმა თან უნდა დაურთოს ქართულ ენაზე მომზადებული რეზიუმე ბეჭდური ან ონლაინ მასალის წარდგენის შემთხვევაში, ხოლო ეთერში გასული სიუჟეტის შემთხვევაში - მასალის ტრანსკრიპტი, რომელიც გადაითარგმნება ინგლისურად ჟიურის საერთაშორისო წევრებისათვის.

განაცხადების და ნომინაციების გაგზავნა შესაძლებელია ონლაინ, შემდეგ მისამართზე: info@epfound.ge. გთხოვთ, თანდართულ ფაილად იხილოთ განაცხადის ფორმა (დანართი #1). გთხოვთ, სათაურის ველში მიუთითოთ „Investigative Journalism Award.“ მეტი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ნინო სტავრიდს, პროგრამის მენეჯერს, მისამართზე: nstavridi@epfound.ge